14 აპრილი 2021

N 0304/21

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

მოგახსენებთ, რომ შპს „ლოკოფერმი“ ს/კ 405429898, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მელექედურის მიმდებარე ტერიტორიაზე, საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გეგმავს ლოკოკინების ფერმის გაშენებას.
ეს პროექტი ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს შესაბამისი პროგრამების თანადაფინანსებით და მისი საბოლოო პროდუქცია მთლიანად გავა ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში.
აღნიშნული ფერმა წარმოადენს იტალიიდან იმპორტირებული სპეციალური ანტისეპტიკური ბადით შემოსაზღვრულ, ლოკოკინების ზრდისა და განვითარებისთვის მოწყობილ არეალებს, რომლის ზომებია 3.50 მ x 45.0 მ. არეალებზე ითესება სპეციალური ჯიშის კომბოსტო, რაც წარმოადგენს ლოკოკინებისთვის აუცილებელ საკვებს.
კომბოსტოს გაზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, განსაკუთრებით, წლის გვალვიან პერიოდში. აქედან გამომდინარე, საჭიროა ფერმის ტერიტორიის ურუნველყოფა საკმარისი სარწყავი წყლით.
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმო გეგმავს მოაწყოს სარწყავი სისტემა და მორწყვისათვის საჭირო წყალი ამოიღოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან, კერძოდ, მდინარე ნატანებიდან.
ვინაიდან ზემოთ აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის, 1.3- ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტრო ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ . საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.
წარმოგიდგენთ საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებს- დანართი N1;
დანართი N1 – „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები;

პატივისცემით,

ალექსანდრე რატიშვილი
შპს "ლოკოფერმის" დირექტორი

+995 599 57 83 09 +995 593 13 64 57
საქართველო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
სოფ. მელექედური
Vill. Meleqeduri
Ozurgeti Municipality, Georgia
lokofermi@gmail.com